

დიპლომატიური სამართალი

დავით დონდუა

დიპლომატიური სამართალი საერთაშორისო სამართლის სფეროა, რომელიც არეგულირებს დიპლომატებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

დიპლომატიური ურთიერთობების პრაქტიკა უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და რეგულაციები-სა და სამართლის პირველი ელემენტებიც მაშინ ჩნდება. ეს რეგულაციები დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა, მაგრამ უმეტესწილად ჩვეულებით სამართალს ეფუძნებოდა. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხერხდა დიპლომატიური სამართლის ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლითაც დღეს მსოფლიო ხელმძღვანელობს.

როგორც კი პირველყოფილმა ადამიანმა მომთაბარეობას თავი დაანება და სამოსახლო ადგილები შეარჩია, მაშინვე დაიწყო დაპირისპირება მეზობელ ტომებს შორის. დავის საგანი, ძირითადად, საბინადრო და სანადირო ტერიტორიები თუ მოპარული საქონელი იყო. დაპირისპირებას გაუთავებელი ბრძოლა მოჰყვებოდა. ომით დაღლილი ადამიანები მალევე მიხვდნენ, რომ მუდმივ ქიშპობას ჯობდა პრობლემები მშვიდობიანად მოეგვარებინათ. ასე გაჩნდა უკვე პირველყოფილ საზოგადოებაში მოლაპარაკების პრაქტიკა, რომელიც დღეს დიპლომატიის მთავარი იარაღია.

მოლაპარაკების აუცილებლობამ იმასაც მიახვედრა ადამიანი, რომ ამბის მომტანის მოკვლაზე უკეთესი მისი მოსმენა იქნებოდა. იმისათვის, რომ მოლაპარაკებაზე წასული შორიდანვე გაერჩიათ, მას უჩვეულოდ შემოსავდნენ, თავზე ჭრელ თავსაბურავს დაადგამდნენ და ისე გაუშვებდნენ მეზობელ ტომში. აქ უკვე მოლაპარაკების ხელშეუხებლობის, ანუ იმუნიტეტისა და პრივილეგიების ჩანასახი ჩანს. იმ დროიდან მოყოლებული, იმუნიტეტი და პრივილეგიები დიპლომატიური პრაქტიკის განუყოფელი ელემენტებია.

ჩვეულებითი სამართალი არის სამართლის უძველესი წყარო. ისტორიულად სამართალი ყალიბდებოდა, როგორც ქვეყნის დაუნერული წესების ერთობლიობა, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. ადრეულ ეპოქაში ჩვეულება იმავდროულად სამართალიც იყო. განვითარების საწყის ეტაპზე ადამიანთა შორის ურთიერთობას სწორედ ჩვეულება აწესრიგებდა. დროთა განმავლობაში ჩვეულება პოზიტიურმა სამართალმა ჩაანაცვლა.

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ სახელმწიფოებს შორის კავშირები საკმაოდ განვითარებული იყო უძველეს ცივილიზაციებში – ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში. ამასთან ყველგან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიხვდნენ, რომ ამ პროცესში ჩართულ პირებს საქმის სათანადოდ წარმართვისთვის ხელშეუხებლობის გარანტია სჭირდებოდათ. წყაროებიდან ჩანს, რომ იმ ეპოქის დიპლომატები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აზიურ და აფრიკულ ცივილიზაციებში დიპლომატიური პრაქტიკა საკმაოდ იყო დახვეწილი, თანამედროვე დიპლომატიის ფორმირებაზე მათი გავლენა არ ჩანს. დიპლომატიური პრაქტიკის განვითარების უწყვეტი ევოლუციური ციკლი, რომელიც დღევანდელობამდე მოდის, იწყება ანტიკური ბერძნული ქალაქი-სახელმწიფოებიდან.

ანტიკურ საბერძნეთში დიპლომატიურ საქმიანობაში ჩართული პირების საქმე საღვთოდ ითვლებოდა და ისინი ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ. დიპლომატებს არ ეკისრებოდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მიმღები ქვეყნის მმართველის მოვალეობა იყო უზრუნველყო მათი უსაფრთხოება. დიპლომატი ვერ დაისჯებოდა ისეთი დანაშაულისთვისაც კი, როგორცაა ადგილობრივი მმართველის წინააღმდეგ შეთქმულება. მასპინძელ მმართველს მხოლოდ ის შეეძლო, რომ ასეთი ადამიანი არასასურველ პიროვნებად გამოეცხადებინა და ქვეყნიდან გაეძევებინა.

ანტიკური საბერძნეთიდან დიპლომატიური პრაქტიკის ტრადიციები ევოლუციურად გავრცელდა ძველ რომში, რომიდან ბიზანტიაში, იქიდან კი – იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში.



ქალქის ზავი (ასევე ეწოდება მარადიული ზავი ან ვერცხლის ზავი) – ზავი ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შორის. ზავი მიჩნეულია მსოფლიოში პირველ სამშვიდობო ხელშეკრულებად.



ანდრეი მატვეევი (1666-1728)
რუსეთის ელჩი დიდი ბრიტანეთში

გვიანი შუა საუკუნეების იტალიის ქალაქი-სახელმწიფოების დიპლომატიური სისტემა ითვლება თანამედროვე ორგანიზებული დიპლომატიის საწყისად. ამ დროს გაჩნდა პირველი მუდმივი საელჩოები.

1626 წელს საფრანგეთში დაარსდა პირველი საგარეო საქმეთა სამინისტრო. XVII საუკუნის ბოლოდან კი ევროპაში მუდმივი საელჩოები ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა. შეიქმნა დიპლომატიის ინსტიტუციური საფუძველი. განისაზღვრა დიპლომატიური მისიების, იქ დასაქმებული ადამიანების და მათი ოჯახის წევრების მუშაობისა და ცხოვრების პირობები, რაც გულისხმობდა მასპინძელ სახელმწიფოში მათ ხელშეუხებლობას და გადასახადებისგან გათავისუფლებას. მაშინ ეს ყველაფერი ჩვეულებითი სამართლით ნესრიგდებოდა.

ვინაიდან ამას უფრო ტრადიციის სახე ჰქონდა, მათი დარღვევაც ხშირი იყო. 1708 წელს ბრიტანეთში რუსეთის ელჩი, კრედიტორების ჩივილის საფუძველზე, სახელმწიფო ჩინოვნიკებმა დააპატიმრეს, თან ისე, რომ დაკავებისას იძალადეს. ამ ინციდენტის კვალდაკვალ ბრიტანეთის პარლამენტმა გამოსცა „დიპლომატიური პრივილეგიების აქტი“. ეს იყო დიპლომატიური იმუნიტეტის კანონად ქცევის პირველი მცდელობა. ამ აქტით აიკრძალა ბრიტანეთში დიპლომატის, მისი ოჯახის წევრების და მასთან დასაქმებული ადამიანების სამართლებრივი დევნა.

1815 წელს ნაპოლეონის ომებისგან დაღლილი ევროპის სახელმწიფოების მესვეურები ვენის კონგრესზე შეიკრიბნენ. ბევრ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასთან ერთად, ვენის კონგრესმა ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ ზოგიერთ რეგულაციას დიპლომატიური კოდექსის სახე მისცა. კერძოდ, განისაზღვრა დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათი ხელმძღვანელების სტატუსი. დადგინდა რიგითობის პრინციპი – სხვადასხვა ოფიციალური ცერემონიის დროს დიპლომატები როგორი თანმიმდევრობით უნდა გამოცხადებულიყვნენ, ვინ სად უნდა დამჯდარიყო ოფიციალურ ცერემონიებზე და სხვა. შეთანხმდნენ, რომ რიგითობა განისაზღვრებოდა ელჩების მიერ რწმუნებათა სიგელების გადაცემის თარიღიდან გამომდინარე; ანუ ის ელჩი იქნებოდა უპირატესი, ვინც უფრო ადრე შეუდგა მუშაობას მასპინძელ ქვეყანაში. მაშინვე დანესდა დუაიენის – ყველაზე ადრე ჩასული ელჩის სტატუსი, რომელიც დღემდე მოქმედებს. როდესაც დიპლომატიური კორპუსის სახელით რაიმე განცხადება, მილოცვა ან დემარშია გასაკეთებელი, ამას დუაიენი ასრულებს.

ვენის კონგრესის შემდეგ იყო მცდელობები გაგრძელებულიყო მუშაობა დიპლომატიური სამართლის დახვეწაზე, მაგრამ დიდი შედეგის გარეშე. რატომღაც მთავრობები ამ საკითხისადმი სათანადო ინტერესს არ ამჟღავნებდნენ. მხოლოდ ახალშექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიანიჭა დიპლომატიური სამართლის კოდიფიკაციას პრიორიტეტული სტატუსი და სამართლის საერთაშორისო კომისიას დაავალა საქმის ბოლომდე მიყვანა.

რამ განაპირობა დიპლომატიური სამართლის კონვენციის შემუშავება?

თანამედროვე დიპლომატიური წეს-ჩვეულებები XVI საუკუნიდან იღებს სათავეს. დიპლომატიური პროტოკოლის ფუძემდებლებად კი ფრანგები, კერძოდ, მეფე ლუი XIV ითვლება. მაშინ ჩამოყალიბდა სტანდარტები და ერთიანი მოთხოვნები დიპლომატებისადმი.

ეს სტანდარტები, ფაქტობრივად, აღარ შეცვლილა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე. სწორედ იმ პერიოდზე გადის ერთგვარი ზღვარი ძველ და ახალ დიპლომატიას შორის.

ძველი დიპლომატია, ძირითადად, ევროპული ქრისტიანი მონარქების ურთიერთობა იყო, რომელთაგან ბევრი ერთმანეთს ენათესავებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ბევრი ახალი სახელმწიფო შეიქმნა. დეკოლონიზაციის კვალდაკვალ აზიასა და აფრიკაშიც აღმოცენდა ახალი ქვეყნები.

ტრანსპორტის განვითარებამ გაამარტივა მგზავრობა და დიპლომატიურ ფერხულში აქტიურად ჩაებნენ არაევროპული სახელმწიფოები, განსხვავებული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ხშირად – უცხო რელიგიითა და მსოფლმხედველობით. მათ სიახლეები შემოიტანეს დიპლომატიაში დამკვიდრებულ სტანდარტებში. XX საუკუნეში სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ კი დრო ისე დააჩქარა, რომ ჩვეულებითი სამართალი ვეღარ ასწრებდა ახალ რეალობებთან ადაპტირებას.

1815 წლის ვენის კონგრესი



დიპლომატიის გლობალიზაციასთან ერთად გაიზარდა საელჩოების რაოდენობა, მომრავლდნენ დიპლომატები და გახშირდა მათზე თავდასხმებიც. აუცილებელი გახდა მკაცრი რეგულაციების შემოღება. ჩვეულებით სამართალს კი საკმარისი ძალა არ ჰქონდა.

კანონით დადგენილი რეგულაციების არარსებობის პირობებში, არც საელჩოები იქცეოდნენ ყოველთვის პატიოსნად. სარგებლობდნენ რა პრივილეგიებისა და იმუნიტეტის ნაკლებად მკაფიო განსაზღვრებებით, ხშირად უხეშად ერეოდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ამასთან, დიპლომატიურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ევროპულ ნორმებს ნაკლებად იზიარებდნენ აზია-აფრიკის ახალგათავისუფლებული სახელმწიფოები; ყველაფერს, რაც კი კოლონიზატორს უკავშირდებოდა, ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამიტომ, როდესაც გაერომ დიპლომატიური სამართლის დოკუმენტზე დაიწყო მუშაობა, მეტი სანდოობისთვის მოლაპარაკებების გაძლოლა არა ევროპელ, არამედ ორ ინდოელ იურისტს მიანდეს. ლამის ათწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1961 წლის მარტ-აპრილში, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები ავსტრიის დედაქალაქ ვენაში შეიკრიბნენ სპეციალურ კონფერენციაზე, სადაც ოფიციალურად დაამტკიცეს დოკუმენტი, რომლის სახელწოდებაცაა „ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების თაობაზე“.

ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების თაობაზე


ვენის კონვენცია, როგორც მას მოკლედ უწოდებენ, არის დიპლომატიური სამართლის ყოველსმომცველი დოკუმენტი. ის წარმოადგენს ფუნდამენტს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვისთვის. კონვენციაში დეტალურადაა განერილი, თუ როგორ უნდა დაამყარონ და წარმართონ სახელმწიფოებმა ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა; როგორ უნდა დააფუძნონ დიპლომატიური მისია და დანიშნონ იქ თანამშრომლები. კონვენციაში განისაზღვრა საელჩოების ფუნქციები, ელჩებს შორის რიგითობა, რომელიც ისეთივეა, როგორზეც 1815 წელს შეთანხმდნენ.

კონვენცია ითვალისწინებს საელჩოს დროებით ან მუდმივად დახურვას, რაც შეიძლება მოხდეს ფინანსური კრიზისის ან ქვეყნებს შორის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების დროს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მესამე ქვეყანას სთხოვენ შეასრულოს შუამავლის ფუნქცია. ამ დროს საელჩო იკეტება, ელჩი და დიპლომატების უმრავლესობა ტოვებენ ქვეყანას. მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი რჩება, აუცილებელი საკონსულო პროცედურების გასაგრძელებლად, რომლებიც შუამავალი ქვეყნის საელჩოს შენობაში განთავსდებიან.

მაგალითისათვის, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ რუსეთთან განვიცტა დიპლომატიური ურთიერთობა და შუამავლის ფუნქციის შესრულება შვეიცარიას ვთხოვეთ.



ლუი XIV (1638-1715)



ვენის კონვენციის მიღება, 1961

ვენის კონვენციის მთავარი დავალებები

ვენის კონვენცია იწყება საელჩოს ფუნქციების განსაზღვრით. პირველად სწორედ იქ გაიწერა დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები და იქიდან გამომდინარე განისაზღვრა საელჩოების დაუბრკოლებელი მუშაობისთვის აუცილებელი საკითხები. ვენის კონვენციის მიხედვით საელჩოს ხუთი ფუნქცია აქვს:

- წარმომადგენლობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;
- წარმგზავნი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების კანონიერი ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;
- მოლაპარაკება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობასთან;
- ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის კანონიერი საშუალებებით მოპოვება და წარმგზავნი სახელმწიფოს მთავრობისათვის მიწოდება;
- წარმგზავნი და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის ნახალისება, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში ურთიერთობის განვითარება.

ვენის კონვენციის მთავარი პოსტულატი არის დიპლომატიური იმუნიტეტი და პრივილეგიები; მათი მიზანი მხოლოდ ერთია – საელჩოებმა და დიპლომატებმა დაუბრკოლებლად შეასრულონ საკუთარი მთავრობის დავალებები უცხო ქვეყანაში.



ზოგჯერ საელჩოები არცთუ კეთილმოსურნე ან სულაც მტრულად განწყობილ ქვეყნებში საქმიანობენ. შესაბამისად, დიპლომატებსა და მათი ოჯახის წევრებს უცხო აღმსარებლობის, სხვა ღირებულებების, განსხვავებული სახელმწიფო იდეოლოგიის მქონე გარემოში უწევთ ცხოვრება და მუშაობა. სწორედ იმისათვის, რომ დიპლომატი პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, იდეოლოგიური ან სხვა რაიმე განმასხვავებელი ნიშნის გამო არ შეავიწროონ, ვენის კონვენციით გარანტირებულია მისი ხელშეუხებლობა.

დიპლომატიური მისიის ხელშეუხებლობა

საელჩოს კარ-მიდამო ხელშეუხებელია, ისევე, როგორც მის ტერიტორიაზე განთავსებული ნებისმიერი აღჭურვილობა. იგივე რეგულაცია ვრცელდება საელჩოს კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე. დაუშვებელია ყველაფერი ზემოჩამოთვლილის გაჩხრეკა, რეკვიზიცია, დაყადაღება და მათზე სააღმსრულებლო მოქმედება. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წარმომადგენელი ვერ შევა საელჩოს შენობებში, თუ არ ექნება ელჩის ნებართვა.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა საელჩოების უსაფრთხოებისა და სიმშვიდის დაცვა. ეს ვალდებულება მაშინაც გრძელდება, როცა დიპლომატიური ურთიერთობა განწყვეტილია და საელჩო დახურულია.

კომუნიკაციის კონფიდენციალურობა

ხელშეუხებელია საელჩოს ოფიციალური მიმონერა. მიმონერაში იგულისხმება საელჩოსთან და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორესპონდენცია. აკრძალულია დიპლომატიური ჩანთის შემოწმება და დაყოვნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მას არადანიშნულებისამებრ იყენებენ.



საელჩოს თანამშრომლების პიროვნული ხელშეუხებლობა

ვენის კონვენციის თანახმად, დიპლომატი და მისი ოჯახის წევრები გათავისუფლებული არიან სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. არ შეიძლება მათი დაკავება, დაპატიმრება, გასამართლება. მათ ჩვენების მიცემაზეც კი შეუძლიათ უარი თქვან. ასევე გათავისუფლებული არიან ადგილობრივი მოსაკრებლებისა და გადასახადებისგან.

როგორც საელჩოს შენობა ხელშეუხებელი, ასევე ხელშეუხებელია დიპლომატის საცხოვრებელი ბინა და ქონება.

დიპლომატის იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც იგი აკრედიტებულია. თუ დიპლომატმა აკრედიტაციის ქვეყანაში ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც მისი სახელმწიფოს კანონმდებლობითაც ისჯება, შეიძლება საკუთარ ქვეყანაში გაასამართლონ. აქედანაც ჩანს, რომ

დიპლომატია

დიპლომატს პრივილეგიები და იმუნიტეტი უცხო ქვეყანაში დაუბრკოლებელი მუშაობისთვის აქვს მინიჭებული და არა რაიმე პირადი დამსახურებისთვის.


სახელმწიფოებს შორის ომის დაწყებისა და დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შემთხვევაშიც კი, იმ დიპლომატებს, რომლებიც მოქიშპე ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩებიან, იმუნიტეტი შეუნარჩუნდებათ.

დიპლომატისთვის იმუნიტეტის მოხსნა მხოლოდ მის წარმგზავნ ქვეყანას შეუძლია. ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. 1997 წელს ვაშინგტონში ავტოსაგზაო შემთხვევისას, რომელიც საქართველოს საელჩოს თანამშრომლის ბრალით მოხდა, დაიღუპა ახალგაზრდა ქალი. აშშ-ის ხელისუფლების დაჟინებული ზეწოლის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტმა ქართველ დიპლომატს იმუნიტეტი მოუხსნა და ის ამერიკაში გაასამართლეს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგჯერ იმუნიტეტს ბოროტადაც იყენებენ. დიპლომატები ყველაზე ხშირად საგზაო მოძრაობის და პარკირების წესებს არღვევენ და არც ჯარიმების გადახდა უყვართ. ასევე ხშირია ოჯახური ძალადობის შემთხვევებიც. აქაც ადგილობრივ სამართალდამცავებს, ვენის კონვენციიდან გამომდინარე, ხელ-ფეხი აქვთ შეკრული.

თუმცა, არც ის იფიქროთ, რომ დიპლომატს ყველაფრის უფლება აქვს. ვენის კონვენცია ავალდებულებს მას პატივი სცეს მასპინძელი სახელმწიფოს კანონებს და ამ სახელმწიფოსაც აქვს ბერკეტი, რომელსაც დიპლომატის პერსონა ნონ გრატად (ლათ. *persona non grata*), ანუ არასასურველ პირად გამოც-

ჯორჯ კანანი
(1904-2005)



ხადება ჰქვია. ასეთ პიროვნებას ეძლევა გარკვეული ვადა, როგორც წესი, ძალიან მოკლე, ქვეყნის დასატოვებლად. ამ დროს წარმგზავნი სახელმწიფო ვალდებულია დიპლომატი გაინვიოს და თუ ის ქვეყანას მითითებულ ვადაში არ დატოვებს, იმუნიტეტი გაუუქმდება.

პერსონა ნონ გრატად არა მარტო დიპლომატი, არამედ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გამოაცხადონ, რომელიც გამოკვეთილად მტრულ დამოკიდებულებას იჩენს ამა თუ იმ ქვეყნისადმი.

1952 წელს საბჭოთა კავშირმა ქვეყნიდან აშშ-ის ელჩი ჯორჯ კენანი გააძევა, მას შემდეგ, რაც მან პრესკონფერენციაზე მოსკოვში ცხოვრება ნაცისტურ ბერლინში ცხოვრებას შეადარა.

1987 წელს აშშ-მ პერსონა ნონ გრატად გაეროს იმხანად უკვე ყოფილი გენერალური მდივანი, ავსტრიელი პოლიტიკოსი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე კურტ ვალდჰაიმი გამოაცხადა. მას ბრალი ნაცისტურ ჯარში მსახურობასა და ებრაელი ხალხის დევნაში დასდეს, რაც მას არასდროს უღიარებია.

გაგიკვირდებათ და პოპულარული კინოვარსკვლავი ბრედ პიტიც არასასურველი პირი აღმოჩნდა ჩინეთისთვის, რადგან მან მთავარი გმირი განასახიერა ფილმში „შვიდი წელი ტიბეტში“. ჩინეთის ხელისუფალთ არ მოეწონათ ეს ფილმი დალაი ლამასადმი კეთილგანწყობისა და ჩინელების აგრესორებად წარმოჩენის გამო. თუმცა, მოგვიანებით ჩინეთის მმართველებს გული მოუღებათ და ბრედ პიტს ოჯახთან ერთად ქვეყანაში შესვლის უფლება მისცეს. ალბათ, უფრო მისი მეუღლისადმი სიმპათიის გამო.



კურტ ვალდჰაიმი
(1918-2007)

კურტ ვალდჰაიმი
ნაცისტურ ჯარში


რატომ არის ვენის კონვენცია წარმატებული?

დღეს ვენის კონვენციას 193 ქვეყანა მიერთებული, დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა სახელმწიფო. ვერ ნახავთ სხვა საერთაშორისო დოკუმენტს, რომელსაც ამდენი ხელმოწერი ჰყავს.

კონვენციის პოპულარობა იმან განაპირობა, რომ ის არეგულირებს ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებს, რაც ყველასთვის მნიშვნელოვანია. ამასთან, ყველა დაინტერესებულია, რომ მისი დიპლომატები უცხო ქვეყნებში თავს დაცულად გრძნობდნენ და დაუბრკოლებლად ასრულებდნენ მოვალეობებს. იმასაც აცნობიერებენ, რომ მათ მიერ კონვენციის რომელიმე მუხლის დარღვევას მსგავსი ქმედებით უპასუხებენ და ამჯერად უკვე მისი დიპლომატები დაზარალდებიან. არადიპლომატიური ენით რომ ვთქვათ: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“.

კონვენცია წარმატებით კიდევ იმიტომ მუშაობს, რომ მასში აისახა დებულებები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში და მყარად იყო დამკვიდრებული ჩვეულებით სამართალში. ის კი, რაც საკამათო იყო, კონვენციის მიღმა დარჩა. კონვენციაზე მუშაობისას საერთაშორისო სამართლის კომისიამ მსგავს თემებს შეგნებულად აარიდა თავი, რომ არ შეფერხებულიყო დოკუმენტზე მუშაობა და ქვეყნებს არ გასჭირვებოდათ მისი რატიფიკაცია. მაშინ მოილაპარაკეს, რომ ასეთ საკითხებს მომავალშიც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წესებით დაარეგულირებდნენ.

ერთ-ერთი ასეთი საკითხია დიპლომატიური თავშესაფარი. ვენის კონვენციაში მასზე არაფერი წერია. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც დიპლომატიურ თავშესაფარზეა ლაპარაკი, 1954 წელს ჰავანაში მიღებული ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის კონვენციაა. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში სამხედრო გადატრიალება ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის ჩვეული მოვლენა იყო. როგორც წესი, იმ რეგიონის ლიდერები ვერ ძლებდნენ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე და თავს მეზობელ სახელმწიფოებს აფარებდნენ. ამიტომ მათ ინტერესში იყო, უსაფრთხოების გარანტია სამართლებრივად ჰქონოდათ გამყარებული.



კრიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენციას თითქმის მთელი მსოფლიო უჭერს მხარს, კრიტიკოსები მასაც ჰყავს. ადამიანის უფლებათა დამცველები მიიჩნევენ, რომ დიპლომატიებისთვის ასეთი ხელშეუხებლობის ბოძება ზედმეტი ფუფუნებაა. ისინი ითხოვენ კონვენციით გათვალისწინებული იმუნიტეტის ნაწილობრივ შესუსტებას მაშინ მაინც, როცა საქმე მძიმე დანაშაულს ან ტერორიზმის საფრთხეს ეხება. აპროტესტებენ იმუნიტეტის გავრცელებას დიპლომატის ოჯახის წევრებზე და საელჩოს არადიპლომატიურ პერსონალზე. პერიოდულად, როცა რამე განსაკუთრებული ხდება, კრიტიკა კიდევ უფრო აქტიურდება. ასე იყო 2019 წელს, როცა დიდ ბრიტანეთში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლის ცოლი ავტომანქანით დაეჯახა მოტოციკლეტით მიმავალ 19 წლის გოგოს და მოკლა. იმუნიტეტს ამოფარებულმა ამერიკელმა დაუბრკოლებლად დატოვა ბრიტანეთი და სამშობლოს შეაფარა თავი.

მიუხედავად კრიტიკისა, ძნელად წარმოსადგენია თვალსაწიერ მომავალში ვინმემ გარისკოს და გახსნას ვენის კონვენცია განახლებისთვის. ამას იმიტომ ვერ იზამენ, რომ დღეს შეუძლებელი იქნება ისეთივე პროდუქტიული მუშაობა, როგორც თავის დროზე საერთაშორისო სამართლის კომისიამ გასწია და კონსენსუსის მიღწევა საკამათო საკითხებზე. მით უმეტეს, რომ როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მიუხედავად იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების ცალკეული შემთხვევებისა, კონვენცია კარგად ასრულებს თავის ფუნქციას და არც დიპლომატები ანგრევენ რეალურად ქვეყანას – ამიტომ არავინ აიღებს პასუხისმგებლობას იმთავითვე განწირული პროცესის დაწყებაზე.

ვენის კონვენციამ დიპლომატიური ურთიერთობების თაობაზე დასაბამი მისცა დიპლომატიური სამართლის სხვა დოკუმენტების შემუშავებას, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნებს შორის საკონსულო ურთიერთობებს, ურთიერთობებს სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, თვითონ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას და სხვა. მან შექმნა სოლიდური სამართლებრივი ბაზა და ყველა მომდევნო კონვენცია მნიშვნელოვანწილად მის დებულებებს ეყრდნობა.

